# დიმიტრი ქუმსიშვილი: ამ კვირაში ლარის კურსი დოლართან მიმართებაში დაიწევს

ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ამ კვირაში ლარის კურსი დაიწევს და სავარუდოდ, ერთი აშშ დოლარი 1.85 ან 1.80 ლარი ეღირება.
„როდესაც კურსი არის აღმავალი და შაბათ-კვირა ემთხვევა, მაშინ, როგორც წესი, კიდევ უფრო მძაფრდება ხოლმე ეს ტრენდი. შესაბამისად, როდესაც ტრენდი შაბათ-კვირას შემოტრიალდა, ეს ნიშნავს, რომ ამ კვირაში კურსი ქვევით წამოვა. სავარაუდოდ ჩვენ 1.85-თან, 1.80-სთან მიახლოებულ დოლარის კურსს უნდა ველოდოთ“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.
ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, 1 აშშ დოლარი 1.95 ლარია. ლარის კურსის ვარდნა 21 ნოემბრიდან დაიწყო და დოლარის გასაყიდმა ფასმა 2 ლარსაც გადააჭარბა.